ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №356565

ნომერი: AR179456

თარიღი : 11.09.2012

გაცემის თარიღი : 19.09.2012

გაცნობის თარიღი : 20.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარაშვილის შეს. N4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაზმიშვილი პ/ნ 01019067412
- თბილისი თემქა XI მ/რ II კვ. კორ. 23 ბ. 50

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.02.2010 წ. #289 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 09/11/2012 წ. #AR179456 განცხადებით მომართა გიორგი მაზმიშვილი და მოითხოვა 25.02.2010 წ. #289 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 25.02.2010 წ. #289 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები გაცემული იყო #01.14.07.008.020 საკადასტრო ერთეულზე (ფართობი: 538 კვ.მ.). წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდა და კონფიგურაციის ცვლილება (მიწის ნაკვეთის ფართობი 540 კვ.მ. საკადასტრო კოდი:

01.14.07.008.090).
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ქალაქმშენებლობითი პარამეტრები, რაც სამსახურის მიერ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის დროს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.02.2010 წ. #289 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდით – 01.14.07.008.090; მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს – 540 კვ.მ.) ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.02.2010 წ. #289 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.